1950
96-20

უფასო

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეცამეტე

№ 9	Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1950 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 3233, მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელების ღონისძიებათა შესახებ 3
2. ბრძანება № 3522, ქ. ზესტაფონის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის მუშაობის შესახებ 10
3. ბრძანება № 3704, სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ . . 13
4. ბრძანება № 3706, 1950—51 წლისათვის სკოლების მზადყოფნის შესახებ 17
5. ბრძანება № 3405, სასკოლო ტიპის საბავშვო სახლების დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ 23
6. ბრძანება № 2518, კოჯრის № 6 საბავშვო სახლის სასწავლო-საალმზრდელო ნაწილის გამგის მ. ზაკუტოვას მოქმედების შესახებ. . . . 25
7. ბრძანება № 3519, კოჯრის № 1, განთიადის და ბორჯომის საბავშვო სახლების გამოკვლევის შედეგების შესახებ 26

თბილისი—1950

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3283

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 1 სექტემბერი

მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948 წლის 2 ნოემბრის ბრძანებისა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ც.კ-ის ბიუროს 1949 წლის 7 მარტის ერთობლივი დადგენილების შემდეგ ერთგვარად გაუმჯობესებულია სკოლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში ტექნიკური წრეების მუშაობა და ბავშვთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელების საქმე. ამ მხრივ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურმა გამოფენამ, რომელზედაც უმთავრესად წარმოდგენილი იყო კონკურსისათვის „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“ დამზადებული თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოიარაღები ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში და სხვ. გვაჩვენა მოსწავლეთა პირველი წარმატებანი ტექნიკური ცოდნის დაუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

მიუხედავად ამისა მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელების საქმე სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების გამგე, სკოლის დირექტორები და თვით საბუნებისმეტყველო და მათემატიკური დისციპლინების მასწავლებლები სათანადოდ ვერ აფასებენ მოსწავლეებში ტექნიკისადმი სიყვარულის დანერგვას, მოსწავლეთა ფართო ფენების ტექნიკით დაინტერესების საქმეს და ამ მიზნით არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს;

ზოგიერთ სკოლაში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი სათანადო ოთახები, სასწავლო კაბინეტები შეუვსებელია საჭირო ხელსაწყოებითა და პრეპარატებით და ხშირად არსებული ხელსაწყოები სრულებით გამოუყენებელია და მოუვლელი, რის გამო აღნიშნული საგნების სწავლება საჭიროცდებისა და დემონსტრაციების გარეშე ტარდება; ტექნიკური წრეებისათვის სკოლებში არ არის მოწყობილი სამუშაო ოთახი ან სახელოსნო კუთხე, წრეებს არ გააჩნია აუცილებელი სამუშაო იარაღ-მოწყობილობები;

სუსტია სკოლების კავშირი წარმოებებთან; სკოლები არ ახდენენ ადგილობრივი მნიშვნელოვანი მსხვილი წარმოებების ტექნიკური საფუძვლებისა და აღჭურვილობის ორგანიზებულად შესწავლას (დათვალიერება, ტექნიკური ექსკურსიები და სხვ.).

სუსტია ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მატერიალური ბაზა, ისინი არ არიან უზრუნველყოფილი სამუშაო მასალებით და ხელსაწყო-იარაღებით, რის გამო მცირეა ამ სადგურების წრეებში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი; სოხუმისა და ბათუმის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში შემცირებულია განათლების სამინისტროს 1949 წლის 22/X № 3724 ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფების რაოდენობა; ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს არ აქვთ თვითნაკეთობათა აღწერილობები, სქემები, ტექნიკური პლაკატები; ბევრ სკოლაში ტექნიკური წრეების ხელმძღვანელ-მასწავლებლებს არ გააჩნიათ პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო ცოდნა-ჩვევები (მუშაობა ხეზე, ლითონზე და სხვ.) და ისინი კონკრეტულად ვერ ხელმძღვანელობენ წრეების მუშაობას; ზოგიერთ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში კი წრის ხელმძღვანელებად პრაქტიკოსი ხელოსნები მუშაობენ, რომლებიც ვერ აწვდიან მოსწავლეებს აუცილებელ თეორიულ ცოდნას და მარტივი პრაქტიკული მუშაობით კმაყოფილდებიან;

სკოლებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული ტექნიკური პროპაგანდა მოსწავლეთა შორის: იშვიათად ტარდება პოპულარული ლექცია-საუბრები მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე, არ ეწყობა მეცნიერულ-პოპულარული და სასწავლო-ტექნიკური კინოფილმების დემონსტრირება; არ არის შექმნილი ტექნიკური ბიბლიოთეკა და მოსწავლეები მოკლებული არიან მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურას და სახელმძღვანელო წიგნებს ტექნიკის სხვადასხვა დარგიდან.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური საკმარის დახმარებას ვერ უწევს რაიონულ სადგურებს.

სკოლებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ტექნიკური წრეების მუშაობის გაუმჯობესების და მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელების საქმის არსებითად გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებს:

ა) ახალ სასწავლო წლიდან გამოჰყონ სათანადო ოთახები (სადაც ასეთი ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი) ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის და უზრუნველჰყონ მათი მოწყობა საქართველოს სსრ განათლების კომისარიატის 1944 წლის 7 თებერვლის და განათლების სამინისტროს 1947 წლის № № 476 და 505 ბრძანებების შესაბამისად;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ ფიზიკისა და ქიმიის სწავლება და ფართოდ დანერგონ თვალსაჩინოების, დემოსტრაციებისა და ცდების გამოყენება აღნიშნული საგნების სწავლებისას და გამოუმუშაონ მოსწავლეებს პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის ჩვევები;

გ) განმეორებით განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948 წლის 2 ნოემბრის № 3330 ბრძანება „ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის ღონისძიებათა შესახებ სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში“, აღნიშნული ბრძანების შესაბამისად ყველა საშუალო სკოლაში გამოჰყონ ტექნიკური წრეებისათვის სამუშაო ოთახი, ხოლო სადაც ეს შესაძლებელი არ არის, ფიზიკის კაბინეტთან მოაწყონ სახელოსნოები და სახელოსნო კუთხეები და უზრუნველჰყონ ისინი საჭირო იარაღ-მოწყობილობითა და სამუშაო მასალებით;

დ) სისტემატურად მოაწყონ ტექნიკური ექსკურსიები ადილობრივი მსხვილი წარმოების საფუძვლების და ტექნიკური აღჭურვილობის შესასწავლად;

ე) ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებში მოაწყონ ბავშვთა თვითნაკეთობების კუთხე;

2. დაევალოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების დირექტორებს:

ა) ყოველდღიურ მუშაობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948 წ. 2 ნოემბრის № 3330 ბრძანებით და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცკ-ის ბიუროს 1949 წლის

7 მარტის ერთობლივი დადგენილებით ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მუშაობის შესახებ;

ბ) გადასინჯონ არსებული წრეები და ცალკეულ შემთხვევაში წრეები ჩამოაყალიბონ რაიონის (ქალაქის) წამყვანი სამეურნეო-ეკონომიური დარგისა და ადგილობრივი პირობების შესაბამისად;

გ) უზრუნველჰყონ წრეები ხელსაწყო-იარაღებითა და სამუშაო მასალებით იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ცალკეულ ჯგუფში გაერთიანებულ წრის წევრ-მოსწავლეთა ერთდროული მუშაობისათვის;

დ) მიაღწიონ მახლობელი სკოლების მოსწავლეების მეტი რაოდენობით ჩაბმას წრეებში და მათ დაინტერესებას სასწავლო-პრაქტიკული მუშაობით;

ე) შეავსონ ბიბლიოთეკები სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნებით ტექნიკის სხვადასხვა დარგიდან;

ვ) განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული თემატიკის მიხედვით მოაწყონ ლექცია-საუბრები მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებისა და გამოგონებათა, მშობლიური ტექნიკის ისტორიისა და მისი პრიორიტეტის შესახებ; განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით მოაწყონ პოპულარულ, სამეცნიერო-ტექნიკური ფილმების ჩვენება წრის წევრთათვის;

ზ) სისტემატურად მოაწყონ წრის წევრთათვის ტექნიკური ექსკურსიები, შეხვედრები ტექნიკის დარგში გამოჩენილ მოღვაწეებთან, წარმოების ნოვატორებთან, სოციალისტური შრომის გმირებთან;

3. დაევალოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორს ამხ. გ. ეპიტაშვილს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესოს მეთოდური ხელმძღვანელობა ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებზე: სისტემატურად შეამოწმოს მათი მუშაობა, მიაწოდოს მათ საინსტრუქციო-მეთოდური წერილები სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე, აგრეთვე ნახაზები, სქემები, კონსტრუქციების აღწერილობები და სხვ.

ბ) დაამზადოს და 1951 წელს გამოსაცემად გადასცეს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებას თვალსაჩინო ხელსაწყოთა და კონსტრუქციების აღწერილობები და ტექნიკის სხვადასხვა პლაკატები განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით;

გ) განაახლოს საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვება და უზრუნველჰყოს მისი დროულად დაგზავნა ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) 1950—51 სასწავლო წელში ჩაატაროს: ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-6 რესპუბლიკური ოლიმპიადა და მე-2 რესპუბლიკური კონკურსი „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“.

ე) მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩაატაროს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების წრეების ხელმძღვანელების სემინარი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმისა და პროგრამის მიხედვით;

ვ) პერიოდულად შეამოწმოს სკოლის ტექნიკური წრეების მუშაობა და ადგილზე მისცეს მათ საჭირო მითითებები მუშაობის გასაუმჯობესებლად;

4. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს:

ა) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარუდგინოს კოლეგიას დასამტკიცებლად ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური და რაიონული სადგურების ახალი დებულება;

ბ) ორი თვის ვადაში შეიმუშაოს გამოსაცემ ორიგინალურ და ნათარგმნი სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის და აგრეთვე თვალსაჩინო ხელსაწყოთა, პლაკატების და კონსტრუქციათა აღწერილობების თემატიკა და გეგმა და წარმოადგინოს დასამტკიცებლად კოლეგიაზე. ჩააბას ამ მუშაობაში ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტექნიკის განყოფილება;

გ) ორი თვის ვადაში შეიმუშაოს უფროს და უმცროს კლასების მოსწავლეებთან ტექნიკის დარგში წასაკითხ საჯარო მოხსენებების და ლექცია-საუბრების თემატიკა, დასამტკიცებლად წარუდგინოს იგი კოლეგიას და უზრუნველჰყოს მისი სისტემატურად წაკითხვა სკოლებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში;

5. დაევალოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტს დაამუშაოს მეთოდური მითითებები სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში ტექნიკური წრეების მუშაობის მეთოდებისა და ორგანიზაციის საკითხებზე;

6. დაევალოს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობას (ამხ. თ. აბაშმაძეს) 1951 წლის საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისათვის კონსტრუქციების აღწერილობებისა და ტექნიკის სხვადასხვა პლაკატების მასობრივი ტირაჟით გამოცემა განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სა-

ხეების და რაოდენობის მიხედვით; მასვე დაევალოს 1951 წლის საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს ორიგინალური და ნათარგმნი სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამოცემა ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისა და სკოლების ტექნიკური წრეებისათვის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელწოდებისა და ტირაჟის მიხედვით;

7. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სასწავლო კინო-მეთოდურ კაბინეტს „გლავკინოპროკატის" საქართველოს განყოფილების მეშვეობით უზრუნველჰყოს სკოლები და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები მეცნიერულ-პოპულარული და სასწავლო-ტექნიკური კინო-ფილმებით;

8. 1951 წლიდან გაიხსნას ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები ქ. რუსთავში, მარნეულის, ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის, ქლუხორის და ორჯონიკიძის რაიონებში;

დაევალოს აღნიშნული ქალაქისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს გამოძებნონ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისათვის შესაფერი ბინები და ამის შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს.

9. დაევალოს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას:

ა) გაითვალისწინოს 1951 წლის ბიუჯეტის პროექტში საჭირო ასიგნობანი ახალგასახსნელ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების დასაფინანსებლად;

ბ) აღადგინოს დამტკიცებული ჯგუფების რაოდენობა ბათუმისა და სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში;

10. დაევალოს კადრების განყოფილებას დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოსთან ერთად გადასინჯოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების დირექტორების პირადი შემადგენლობა და სუსტი მუშაკები შესცვალოს პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მქონე კვალიფიციური კადრებით; ერთი თვის ვადაში შეამოწმოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის წრის ხელმძღვანელ-მასწავლებელთა პირადი შემადგენლობა.

11. დაევალოს მატერიალური ფონდების განყოფილებას: ა) მისცეს განაცხადი სახელმწიფო საგეგმო კომისიას ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისათვის საჭირო იარაღ-მოწყობილობებზე; ბ) დასვას საკითხი მინისტრთა საბჭოს წინაშე 1951 წლის პირველ კვარტალში ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურისათვის ერთი 16 ადგილიანი ავტობუსის გამოყოფის შესახებ.

12. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას 1951 წლის მშენობლობის სატიტულო სიაში გაითვალისწინოს პავილი-

ონის მშენებლობა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან ნამუშევრების მუდმივმოქმედი გამოფენისათვის;

13. 1951 წელს ზაფხულის არდადეგებზე მოწვეული იქნეს საქართველოს ალკკ ც. კ-თან ერთად ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური შეკრება;

14. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს, რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელების საქმეს; სკოლების შემოწმებისას სპეციალურად შეისწავლონ ტექნიკური წრეების მუშაობა და საერთოდ ტექნიკური ცოდნის პროპაგანდის საქმე სკოლაში;

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების მოსაწყობად და მათ შესავსებად საჭირო მოწყობილობით;

გ) ყურადღება მიაქციონ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მუშაობას, აღმოუჩინონ მათ პრაქტიკული დახმარება სასწავლო პრაქტიკული მუშაობის სწორად ორგანიზების საქმეში, მსხვილი წარმოებების მიერ შეფობის განხორციელებაში და სხვა.

დ) გადალინჯონ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების წრის ხელმძღვანელთა პირადი შემადგენლობა და სუსტი მუშაკები შესცვალონ კვალიფიციური მასწავლებლებით და ინჟინერ-ტექნიკოსებით;

15. დაევალოს ქ. გორის, თელავის, ოჩამჩირის, წყალტუბოს, კასპის, ახალქალაქის და ხაშურის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს გამოუძებნონ შესაფერი ბინები ნორჩ ტქნიკოსთა სადგურებს და შესრულება მოახსენონ განათლების სამინისტროს.

16. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციას სისტემატურად გააშუქოს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მუშაობისა და მოსწავლეთა შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელების საკითხები.

17. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს 1950 წლის ნოემბერში შეამოწმოს ამ ბრძანების შსრულება და შედეგი მომახსენოს მე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. კუპრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3522

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 15 სექტემბერი

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. ზესტაფონის ქალთა მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ს. გოგოლაძე) ადგილი აქვს „დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასებისას ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემის გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებების უხეშად დარღვევის შემთხვევებს. ხშირ შემთხვევებში მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შეფასების ნიშნები არ იწერება საკლასო ჟურნალში, რის გამოც მეოთხედური ნიშნების დადგენა ხდება თვითნებურად. მაგალითად, მე-11 კლასის მოსწავლე ზაირა ლავთაძეს 1949—1950 სასწავლო წლის მეორე მეოთხედში გეომეტრიაში შესრულებული აქვს საკონტროლო წერა ორჯერ, მიღებული აქვს შეფასება „2“, ხოლო გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში ზეპირში ეს მოსწავლე მეოთხედის განმავლობაში შეფასებული არ იყო. მიუხედავად ამისა, მოსწავლე ზ. ლავთაძეს, რომელსაც გეომეტრიაში მე-2 მეოთხედში ეკუთვნოდა ნიშანი „2“, მასწავლებელმა ა. კობახიძემ უმართებულოდ დაუწერა ნიშანი „4“, ასევე ალგებრაში, ნაცვლად „3“-სა, მან მოსწავლე ზ. ლავთაძეს დაუწერა ნიშანი „4“, მეოთხე მეოთხედში ზ. ლავთაძემ საკონტროლო წერაში ტრიგონომეტრია-გეომეტრიაში მიიღო ნიშანი „2“, ხოლო ზეპირში არ იყო შეფასებული, მეოთხედში კი მას დაუწერა ნიშანი „4“.

მოსწავლე აზა კელენჯერიძეს წლის განმავლობაში მათემატიკაში შესრულებული აქვს 23 საკონტროლო წერა, ამათგან 18 ნამუშევარში მიულია ნიშანი „2“ და „1“, მაგრამ მესამე მეოთხედში მიმდინარე შეფასების გარეშე ალგებრა-ტრიგონომეტრიაში დაწერილი აქვს ნიშანი „3“. საკონტროლო წერებში მიღებული ნიშნების საფუძველზე მოსწავლე აზა კელენჯერიძისათვის მათემატიკურ საგნებში უნდა დაეწერათ სასწავლო წლის I—II და IV მეოთხედებში ნი-

შანი „2“ და სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე ის ალ-
გებრაში დაშვებული არ უნდა ყოფილიყო.

სასწავლო წლის მეოთხედებში ნიშნების აწევის შემთხვევებს ად-
გილი ჰქონდა მე-11 კლასის მოსწავლეების ციცინო ბარბაქაძის და
ნუნუ გიორგაძის მიმართაც.

ყოველივე ამის გამო ზესტაფონის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის
კურსდამთავრებული მედალოსნები უმაღლეს სასწავლებლებში და-
ბალ მომზადებას ამჟღავნებენ. მაგალითად, დაბალი მომზადება გა-
მოამჟღავნეს სამედიცინო ინსტიტუტის 1-ლი კურსის სტუდენტებმა,
მედალოსნებმა როზიტა სანაძემ, რომელმაც ორი სასესიო საგნიდან
ფიზიკაში მიიღო ნიშანი „2“ და ლენა ნიორაძემ სასოფლო-სამეურ-
ნეო ინსტიტუტის 1-ლი კურსის სტუდენტმა, რომელმაც მხაზვეელო-
ბით გეომეტრიაში მიიღო ნიშანი „2“.

იმის ნაცვლად, რომ სკოლის დირექტორს სისტემატური კონტ-
როლი დაეწესებია განათლების სამინისტროს მითითებათა და გან-
კარგულებათა განუხრელად გატარებაზე, იგი თითონ არღვევდა
სამინისტროს ინსტრუქციას მოსწავლეთა აკადემიური შეფასების
საქმეში და ერთგვარ ზემოქმედებას ახდენდა მასწავლებელთა ერთ
ნაწილზე, რათა მათ ზოგიერთი მოსწავლისათვის უმართებულოდ
დაეწერათ მაღალი ნიშანი.

სკოლის დირექტორი ამხ. ს. გოგოლაძე არ დგას მოწოდების სი-
მაღლეზე. გასულ წლებში იგი განათლების მინისტრის ბრძანებით
რამდენჯერმე იყო გაფრთხილებული განათლების სამინისტროს მი-
თითებათა დარღვევისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში
ლიბერალიზმის ფაქტების გამოვლინებისათვის.

ამხ. ს. გოგოლაძე არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს
სკოლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობას. იგი სისტემატურად
არ ესწრება გაკვეთილებზე, არ უწევს მასწავლებლებს სისტემატურ
მეთოდურ ხელმძღვანელობას. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე
ამხ. ქ. ვეფხვაძე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. განთლების მი-
ნისტრის 1947 წლის 22 ნოემბრის ბრძანებით ამხ. ქ. ვეფხვაძეს გა-
მოეცხადა საყვედური საგამოცდო ინსტრუქციის არასწორად გა-
ტარებისა და მასწავლებლების მუშაობაზე არასაკმაო ხელმძღვანე-
ლობისათვის. მიუხედავად ამისა, ამხ. ქ. ვეფხვაძემ ვერ გამოიტა-
ნა საჭირო დასკვნები და ვერ გარდაქმნა მუშაობა.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ მათემატიკის მასწავლებელი ამხ. ა.
კობახიძე არ იჩენდა ობიექტურობას მოსწავლეთა ცოდნის შეფა-
სების საქმეში.

ვბრძანებ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა დარღვევისათვის, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დაშვებული დამახინჯებისა და სკოლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის ზესტაფონის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ს. გოგოლაძე და სასწავლო ნაწილის გამგე ქ. ვეფხვაძე განთავისუფლებულ იქნან თანამდებობიდან.

2. მათემატიკის მასწავლებელ ა. კობახიძეს გამოეცხადოს საყვედური მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში ლიბერალიზმის დაშვებისათვის.

3. წინადადება მიეცეს ზესტაფონის რაიონის სახ. განათლების განყოფილების გამგეს ამხ. გ. კობახიძეს:

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი რაიონის სკოლების მუშაობაზე და უზრუნველჰყოს განათლების სამინისტროს მითითებათა ზუსტად გატარება მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში;

ბ) ერთი დეკადის ვადაში წარმოადგინოს ქალთა მე-2 საშუალო სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის კანდიდატურები დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ვ. ტოგონიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3704

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წ. 27 სექტემბერი

სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში დღემდე ადგილი აქვს მრავალ ნაკლოვანებას. განათლების განყოფილებათა ერთი ნაწილი სკოლებზე წიგნობრივი ფონდის განაწილებას აწარმოებს სათანადო აღრიცხვის გარეშე, რასაც ხშირად შედეგად მოსდევს წიგნობრივი ფონდის განიავება; სკოლების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მინიმალურადაც არაა წიგნებით უზრუნველყოფილი; სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის ნაწილი შეუფერებელია კლასგარეშე კითხვისათვის, ბევრ სასკოლო ბიბლიოთეკაში მცირეა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებნი, სხვადასხვა დარგის მეცნიერულ-ტექნიკური და პოპულარული ლიტერატურა, ხოლო რუსული წიგნები ან სრულიად არ არის (განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურა) ან ძალზე მცირე რაოდენობით მოიპოვება. აღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ სასკოლო ბიბლიოთეკების შესავსებად გათვალისწინებული თანხები აუთვისებელი რჩება—ასე მაგალითად, 1949 წელს აუთვისებელი დარჩა 19.258 მანეთი. 1950 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ 1.400.000 მან. 1-ლ აგვისტოსათვის ათვისებულია მხოლოდ 560.000 მან.

ზოგჯერ სკოლის დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები, კლასის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობას, არ ზრდიან მოსწავლეებში წიგნისადმი კულტურულად მოპყრობის ჩვევებს, არ ატარებენ მოსწავლეთა შორის წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელობის შესახებ საუბრებს, არ წარმოებს მხატვრული ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან რეკომენდირებული წიგნების გარჩევა-მიმოხილვა და მოს-

წავლეთა საგრძნობი ნაწილი კლასგარეშე კითხვაში ჩაბმული არ არის.

ზოგ სკოლაში ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს სათანადო განათლებასა და გამოცდილებას მოკლებული, ამ საქმისათვის შეუფერებელი, შემთხვევითი პირი, რომელსაც არ შესწევს უნარი სათანადოდ უხელმძღვანელოს ბიბლიოთეკის მუშაობას (თბილისის ქალთა 35-ე საშუალო სკოლა, ქ. მახარაძის რუსული საშუალო სკოლა, ვანის რაიონის ისრითის საშუალო სკოლა და სხვა). ამის შედეგია რომ მაგალითად 1949—50 სასწავლო წელს თბილისის მე-9 რუსულ საშუალო სკოლის XI კლასის არცერთ მოსწავლეს სასკოლო ბიბლიოთეკით არ უსარგებლია, თბილისის ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლის XI კლასის 18 მოსწავლიდან ბიბლიოთეკით მხოლოდ ერთი მოსწავლე სარგებლობს, ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის VIII კლასის 27 მოსწავლიდან ბიბლიოთეკით 7 მოსწავლე სარგებლობს და სხვა.

რიგ სკოლაში მოუგვარებელია წიგნობრივი ფონდის აღრიცხვა, ადგილი აქვს წიგნობრივი ფონდის განიავებას. სასკოლო ბიბლიოთეკები არ არიან მომარაგებული სხვადასხვა საალრიცხვო ფორმებით, არა აქვთ საინვენტარო წიგნი, ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის აღრიცხვის წიგნი და სხვა.

სასკოლო ბიბლიოთეკარებს არა აქვთ სპეციალური, საბიბლიოთეკო ლიტერატურა: „წიგნების კლასიფიკაცია", „საავტორო ტაბულები", „საბიბლიოთეკო ტექნიკა", „მასობრივი ღონისძიებანი სასკოლო ბიბლიოთეკაში" და სხვა. არ იბეჭდება მეთოდწერილები და არაა შედგენილი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები.

სასკოლო ბიბლიოთეკისათვის იმ სკოლებშიაც კი, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, არ არის გამოყოფილი ცალკე ოთახი, ბიბლიოთეკები შესახლებულია სამასწავლებლოში, კანცელარიაში, ანდა, ზოგჯერ, საკლასო ოთახშიაც კი.

სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს:

ა) განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმებისას სისტემატურად შეისწავლოს სასკოლო ბიბლიოთეკების მდგომარეობა და მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად დასახოს სათანადო ღონისძიებანი;

ბ) მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი გადაანაწილოს იმგვარად, რომ პირველ რიგში უზრუნველყოფილი იქნას იმ სკოლების ბიბლიოთეკების შევსება, რომელთა წიგნობრივი ფონდის სიმცირე განსაკუთრებით საგრძნობია;

გ) მიიღოს გადამჭრელი ზომები ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხების თავის დროზე ასათვისებლად;

დ) განმეორებით გამოსცეს ცალკე ბროშურად შესწორებული და შევსებული „სასკოლო ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმი (ინსტრუქცია და აღრიცხვის ფორმები)".

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) უმოკლეს ვადაში შეისწავლონ ბიბლიოთეკების მუშაობა და ზუშაობაში გამოვლინებულ ნაკლის აღმოსაფხვრელად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ბ) გადასინჯონ სკოლებში მომუშავე ბიბლიოთეკართა შტატი და არ დაუშვან სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაკებად საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას მოკლებულნი პირნი, ხოლო ამჟამად მომუშავენი, რომელნიც შეუფერებელნი არიან ამ საქმისათვის, შესცვალონ საქმის მცოდნე მუშაკებით.

3. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) ა/წლის 15 ნოემბრამდე უზრუნველჰყონ სასკოლო ბიბლიოთეკები საბიბლიოთეკო-ტექნიკური მასალით;

ბ) ჩაატარონ სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის ზუსტი აღრიცხვა ყოველწლიურად, საგაზაფხულო არდადეგების დამთავრების შემდეგ, წიგნობრივი ფონდი უნდა შემოწმდეს აგრეთვე ბიბლიოთეკარის გამოცვლის დროსაც;

გ) წესად შემოიღონ შემოწმების შედეგად აღმოჩენილი წიგნობრივი დანაკლისის აღდგენა, არ დაუშვან წიგნობრივი ფონდის გაფლანგვის შემთხვევები;

დ) სისტემატურად ჩაატარონ საუბრები წიგნის დანიშნულების, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისა და სასკოლო ბიბლიოთეკის მნიშვნელობის შესახებ, ხშირად მოაწყონ რეკომენდირებული და საინტერესო წიგნის მიმოხილვა, როგორც მხატვრული ლიტერატურიდან, ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან;

ვ) სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის შევსებისა და გაზრდის მიზნით ფართოდ გამოიყენონ საზოგადოებრივი ორ-

განიზაციების ინიციატივა—მოაწყონ მოსწავლეთა მშობლებს შორის წიგნების ნებაყოფლობითი შეგროვება.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა გაითვალისწინოს რაიონებში სასკოლო ბიბლიოთეკართათვის სემინარების ჩატარება. შემოიტანოს წინადადებანი სემინარის მიმდინარე წლის მე-4 კვარტალში ჩატარების შესახებ და, მომავალი წლის გეგმაში გაითვალისწინოს ასეთი სახის სემინარების ჩატარება 20 რაიონში.

ამავე ინსტიტუტმა 1951 წელს გეგმაში გაითვალისწინოს სასკოლო ბიბლიოთეკართა გადასამზადებლად ერთთვიანი კურსების მოწყობა 100 მუშაკისათვის.

5. დაევალოს პედაგოგიკის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტს 1951 წელს გამოსცეს წიგნი „სასკოლო ბიბლიოთეკის ორგანიზაცია", კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები და აგეთვე მეთოდური ლიტერატურა საბიბლიოთეკო მუშაობის ცალკეულ საკითხებზე.

6. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე და შედეგები ა/წლის 10 დეკემბრისათვის მოახსენოს კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

F1241

ბრძანება № 3706

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 28 სექტემბერი

გავეცანი რა ახალ, 1950—51 სასწავლო წლისათვის სკოლების მზადყოფნის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 2 ივნისის დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის სკოლებში დროულად გაიშალა გაცხოველებული მუშაობა სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალ სასწავლო წლისთვის მომზადების შესახებ.

თელაველთა პატრიოტულ თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სკოლები და ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებითა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ახალი სასწავლო წლისთვის სკოლების მომზადების საქმეში.

გეგმით 1 სექტემბრისათვის უნდა შეკეთებულიყო 4230 სასკოლო შენობა,—ამათგან კაპიტალური რემონტი უნდა გაკეთებოდა 535 სასკოლო შენობას, მიმდინარე—3705. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად უნდა დახარჯულიყო 19.683 ათასი მანეთი. პირველ სექტემბრისათვის რემონტი გაუკეთდა 4158 სასკოლო შენობას, ამათგან კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 570 სასკოლო შენობას, მიმდინარე რემონტი გაუკეთდა 3588 სასკოლო შენობას. აღნიშნულ სამუშაოებზე დაიხარჯა 19683 ათასი მანეთი.

გეგმით უნდა დამზადებულიყო 6600 ახალი მერხი, 905 სასკოლო დაფა, 250 მასწავლებლის მაგიდა, 85 კარადა და სხვა.

1-ლ სექტემბრისათვის დამზადებული იყო 10.445 მერხი, 1846 საკლასო დაფა, 2072 მასწავლებლის მაგიდა, 730 კარადა.

დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ინვენტარის შეკეთების გეგმაც. ასე, მაგ, 1-ლ სექტემბრისათვის შეკეთებული იქნა 28086 მერხი, 8913 საკლასო დაფა.

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

სასკოლო შენობების მშენებლობისა და რემონტის საქმეში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ აჭარის ასსრ, ქ.ქ. თბილისის, ჭუთაისის, ფოთის, თელავის, მახარაძის და მცხეთის, ზუგდიდის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლანჩხუთის, ორჯონიკიძისა და სხვ. რაიონის სკოლებს.

აჭარის ასს რესპუბლიკაში მშრომელთა ინიციატივით აშენდა 1 საშუალო, 5 რვაწლიანი და 14 დაწყებითი სკოლის შენობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ხულოსა და ბათუმის რაიონები.

მახარაძის რაიონში მშრომელთა ფართო მონაწილეობით ახალ ადგილზე გადაიტანეს და 15 საკლასო ოთახი მიუმატეს მერიის საშუალო სკოლას, ასევე კაპიტალურად შეაკეთეს ციხისფერდის, გომისა და ლიხაურის სკოლები.

თელავის რაიონში თეთრიწყლების 8-წლიანი სკოლისათვის ადგილობრივი საშუალებებით აიგო 12-ოთახიანი სასკოლო შენობა. სოფ. გულგულაში 9-ოთახიანი სახკოლო შენობა, აკურას დაწყებითი სკოლებისათვის 8-ოთახიანი სასკოლო შენობა და სხვ.

სიღნაღის რაიონში ძველი ანაგის რვაწლიანი სკოლის შენობას 8 საკლასო ოთახი მიუმატეს, ულიანოვკაში რვაწლიან სკოლისათვის კაპიტალური შენობა ააგეს.

ასეთივე მუშაობაა ჩატარებული ლანჩხუთის რაიონის ჯუჯუყვეთის, გულიანისა და სხვ. სკოლებში.

კაპიტალური რემონტის ჩატარების საქმეში კარგად იმუშავეს აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონის ბორითის, ღორეშის, ლეღვანის საშუალო, ვარძიის, ვაშლევის რვაწლიანი და მარელისის დაწყებითმა სკოლებმა.

1950—51 სასწავლო წელს მასწავლებელთა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ჩატარდა. საქართველოს დაწყებითი, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მასწავლებელთა გადაყვან-გადმოყვანა და სკოლებში ახალი მასწავლებლების დანიშვნა დამთავრებულია, ახლად დაინიშნა 3018 სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათგან 1706 სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია.

სწავლების ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ პროფესიულ დახელოვნებას. ამ მიზნით ზაფხულის პერიოდში 1-ლ სექტემბრამდე გადამზადდა 2565 მასწავლებელი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა სახელმძღვანელო წიგნების გამოცემის საქმე. გეგმით გათვალისწინებული 99 სახელწოდების ქართუ-

ლი სახელმძღვანელო წიგნი 1.779.100 ეგზემპლარის რაოდენობით 1-ლ აგვისტოსათვის გამოცემულია და დაგზავნილია რაიონებში. წინა წლებთან შედარებით მეტი რაოდენობითაა შემოზიდული სახელმძღვანელო წიგნები რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისათვის: რუსული სკოლებისათვის შემოზიდულია 92 სახელწოდების წიგნი 499.880 ეგზემპლარის რაოდენობით, სომხური სკოლებისათვის—28 სახელწოდების 71415 ეგზემპლარის რაოდენობით, აზერბაიჯნული სკოლებისათვის—52 სახელწოდების 64190 ეგზემპლარის რაოდენობით.

გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსწავლეთა რვეულების დამზადების საქმე. 1-ლ სექტემბრისათვის დამზადებული იყო და რაიონებს დაეგზავნა 10.820.000 ცალი რვეული. სხვა სასწავლო ნივთებით (მელანი, ცარცი, ფანქარი, კალმისტარი, სამელნე) სკოლები უზრუნველყოფილია.

რესპუბლიკის სკოლებს სასწავლო კაბინეტების შესავსებად 1-ლ სექტემბრისათვის 3.100.900 მანეთის ღირებული ხელსაწყო-ირაღები დაეგზავნა.

დიდი ღონისძიებაა გატარებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესასრულებლად. ახალი სასწავლო წლისთვის მზადებასთან დაკავშირებით ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში დაზუსტებული იქნა I, V და IX კლასებში ჩასაბმელ მოსწავლეთა რიცხვი და მიღებულ იქნა საჭირო ზომები მათი სკოლებში მთლიანად ჩასაბმელად.

პირველ სექტემბრისათვის მიზიდულია სკოლებში 77.597 კბ. მეტ. შეშა (შეშის მიზიდვის გეგმა შესრულებულია 80%).

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ნაყოფიერად ჩატარების შედეგად რესპუბლიკის სკოლებში სწავლება ნორმალურად დაიწყო. ქ.ქ. თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის რაიონების—თელავის, მახარაძის, წითელწყაროს, ლანჩხუთის, მცხეთის, თეთრიწყაროს, სიღნაღის, ორჯონიკიძისა და სხვ. სკოლებში სწავლების პირველი დღის შემოწმებამ ცხადჰყო სკოლების მზადყოფნა ახალ სასწავლო წლისათვის.

მიუხედავად ამისა ახალ, 1950—51 სასწავლო წლისათვის მზადებისა და დაწყების საქმეში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

რიგ რაიონში სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტი უხარისხოდ ჩატარდა: ასე, მაგალითად, სამტრედიის რაიონის კულაშისა და ღანირის სკოლებში პირველ სექტემბრისათვის არც-

ერთი მერხი არ იყო ლაქწასმული, მერხების დიდი ნაწილი გაურანდავი და გაუსწორებელი იყო. ღანირის საშუალო სკოლას გეგმით 10 მერხის შეკეთება ჰქონდა, მაშინ როდესაც სინამდვილეში თითქმის ყველა მერხი შეკეთებას საჭიროებდა. თეთრიწყაროს რაიონის ბორბალოს რვაწლიან სკოლას სრულებით არ გააჩნია სამეურნეო ინვენტარი. სკოლას არა აქვს სამასწავლებლო მაგიდები, აკლია 15 ცალი მერხი. პირველ სექტემბერს სასკოლო კაბინეტების მოწყობილობები საკლასო ოთახში ეყარა უწესრიგოდ.

სასწავლო კაბინეტები მოუწესრიგებელი იყო აგრეთვე წულუკიძის რაიონის კუხის საშუალო სკოლაშიც. აღნიშნულ სკოლაში ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების დიდი უმრავლესობა დამტვერიანებულ თაროებზე ეყარა უწესრიგოდ. იმ დროს, როდესაც ამ სკოლაში ფიზიკის 3 მასწავლებელი ირიცხება.

რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლა 1-ლ სექტემბრისათვის არ იყო უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, რვეულებითა და სასკოლო დოკუმენტებით, ასე, მაგალითად, ამბროლაურის რაიონში 1-ლ სექტემბრისათვის 99 სახელწოდების სახელმძღვანელოს ნაცვლად შეზიდული იყო მხოლოდ 66 სახელწოდების წიგნი. ქვემო სვანეთის რაიონში არ იყო შეზიდული აგრეთვე საკმაო რაოდნობის სახელმძღვანელო. 1-ლი სექტემბრისათვის სკოლებში არ იყო საკლასო ჟურნალები. საკლასო ჟურნალები არ ქონდათ აგრეთვე, ტყიბულის, ონის, საჩხერის, წითელწყაროს და ადიგენის რაიონის სკოლებშიც. ადიგენის რაიკავშირის წარმომადგენელმა უარი განუცხადა „საქწიგნის“ ბაზას საკლასო ჟურნალების მიღებაზე იმ მოტივით, რომ თითქოს ასეთი სახის ჟურნალები რაიონში იყო, მაშინ როდესაც ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

თელავის რაიონში მოსწავლეთა უმრავლესობა წიგნის გარეშე იყო. რაიკავშირმა ვერ უზრუნველყო სახელმძღვანელოების გადაზიდვა სოფლის მაღაზიებში, რის გამო რაიონების სოფლის სკოლების მოსწავლეთა 80 პროცენტს 1-ლ სექტემბრისათვის არ ჰქონდათ შეძენილი სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები.

მცხეთის რაიონში არ იყო მოწესრიგებული სახელმძღვანელოების ადგილზე მიტანის საქმე. 7 აგვისტოს შემდეგ შეზიდული 23-ზე მეტი სახელწოდების სახელმძღვანელო წიგნი 28 აგვისტოსათვის რაიონის ცენტრში იყო და სოფლის მაღაზიებს არ ჰქონდათ წაღებული.

დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ რაიონში შეზიდული სკოლის დღიურები არ გამოისყიდა და უკანვე დაუბრუნა

თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოთა განყოფილებას. ადგილზე შემოწმებით კი გამოირკვა, რომ დღიური სკოლებს არ ჰქონდათ.

გარეუბნის რაიონის დიღმის საშუალო სკოლაში სწავლების პირველი დღე ცუდად დაიწყო. მასწავლებლებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი საგნის წლიური კალენდარული გეგმები, კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები 22 მასწავლებელს არ ქონდა შედგენილი. არ იყო შედგენილი წესიერად გაკვეთილების სამეცადინო ცხრილი. ცხრილში VIII კლასში—ხუთშაბათს მე-4 გაკვეთილი ღიად არის დატოვებული. VII კლასში ამავე დღეს მე-5 გაკვეთილიც ღიადაა, ასეთი შემთხვევები ცხრილში ბევრია. სკოლის წლიური მუშაობის გეგმაში ბევრი რამ შეტანილია სკოლის პირობების გაუთვალისწინებლად. V—XI კლასებში გაკვეთილებს მოსწავლეების 76% დაესწრო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას საკლასო ჟურნალები მოეპოვება, მოსწავლეთა სიები რვეულის ფურცლებზე ჰქონდათ შედგენილი. მოსწავლეთა სიები არ იყო დაზუსტებული, ასე, მაგალითად: VIII კლასში 3 მოსწავლე, რომელიც გაკვეთილებს ესწრებოდა, სიაში არ იყო შეტანილი. ასეთივე მდგომარეობა იყო XI კლასშიც და სხვ.

მცხეთის რაიონის წილკნის საშუალო სკოლაში საკლასო ჟურნალები არ იყო წესრიგში მოყვანილი. IX კლასში სიით ირიცხებოდა 24 მოსწავლე, კლასში კი ესწრება 27 მოსწავლე. სიაში ჩაწერილ 24 მოსწავლიდან მეცადინეობას არ ესწრება 11 მოსწავლე. პირველ დღეს მეცადინეობას დაესწრო 68,5%, მსგავსი მდგომარეობა იყო ამავე რაიონის ძალისის 8-წლიან, მუხრანის საშუალო და კასპის რაიონის ალაიანის 8-წლიან სკოლებში, ალაიანის რვაწლიან სკოლაში 1-ლი კლასის ხელმძღვანელის (ნ. ვალიშვილი) სამუშაო გეგმა შედგენილია უწიგნურად, ზერელედ, მოუფიქრებლად. გეგმაში ხშირია ასეთი გამოთქმები—„წაუკითხამ“, „დავსხამ მერხებზე“, „იდივიდიალურ კითხვებს“ და სხვ. შემოწმებული სკოლების უმრავლესობა არაა უზრუნველყოფილი სათბობი მასალით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1 დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) მიიღონ გადამრჭელი ზომები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის ურყევად გატარებისათვის. მიაღწიონ იმას, რომ სწავლებაში ჩაბმული ყველა მოსწავლე შენარჩუნებული იქნას წლის ბოლომდე. ამ საქმეში ზუსტად გაატარონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოქმედი ინსტრუქციები და ბრძანებები.

ბ) სასწრაფოდ შეამოწმონ რაიონის ყველა სკოლაში სწავლების დაწყების მდგომარეობა და შემოწმებით გამოვლინებულ ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორებისათვის გაატარონ სათანადო ღონის ძიება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) 5 დღის განმავლობაში დააზუსტონ სახელმძღვანელო წიგნებისა და სხვ. სასკოლო დოკუმენტების მდგომარეობა და დანაკლისის ან ჭარბი რაოდენობის შემთხვევაში ზომების მისაღებად აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ა/წ. 30 სექტემბრამდე.

დ) განიხილონ და სათანადო სასჯელი დაადონ იმ სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს სწავლებისათვის ნორმალური პირობების შექმნა, გამოიჩინეს სისუსტე და საქმისადმი უდარდელი დამოკიდებულება.

ვ) სკოლების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოადგინონ განათლების სამინისტროში ა/წლის 10 ნოემბრამდე.

2. დაევალოს მატერიალური ფონდების განყოფილების უფროსს ამხ. დ. მელიქაძეს ორი დღის განმავლობაში შეამოწმოს სახელ. მძღვანელო წიგნების განაწილებისა და მისი რაიონებში დაგზავის საქმე. მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმ რაიონებში სახელმძღვანელო წიგნების გადასაგზავნად, სადაც ასეთი საკმაო რაოდენობით არ არის. თანდართული სიის მიხედვით უზრუნველყოს ქ. თბილისის სკოლების მომარაგება სახელმძღვანელოებით.

3. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ სკოლების შემოწმებისას ყურადღება მიაქციოს მოსწავლეების წიგნებით უზრუნველყოფის საქმეს და ყოველი ცალკეული შემთხვევა მომახსენოს პირადად მე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 19 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3405

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წ. 9 სექტემბერი

სასკოლო ტიპის საბავშვო სახლების დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ 1947 წლის 15 სექტემბერს აღსაზრდელთა შრომითი აღზრდის საკითხში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-3 მუხლის „3" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „დაეხმაროს აღსაზრდელებს პროფესიის არჩევაში და უზრუნველჰყოს აღსაზრდელთა მოწყობა სპეციალურ სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში".

ბ) დებულების მე-20 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად: „აღსაზრდელთა ზოგადტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შრომითი მომზადების მიზნით საბავშვო სახლი ანხორციელებს აღსაზრდელთა სისტემატურ შრომითი აღზრდასა და სწავლებას მათი ასაკის შესაბამისად, უზრუნველჰყოფს ყველა აღსაზრდელის მონაწილეობას თვითმომსახურეობის და სასოფლო-სამეურნეო შრომაში და ხელსაქმის, მეოჯახეობისა და ხელგარჯილობის შესწავლას აღსაზრდელთა მიერ.

12 წლისა და ზევით ასაკის აღსაზრდელები შრომითი სწავლებას გადიან სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებსა და სოფლის მეურნეობაში საბავშვო სახლის მიწის ნაკვეთზე, ხოლო 7—11 წლის ასაკის აღსაზრდელები მუშაობენ სხვადასხვა მსუბუქ მასალებზე (ქაღალდი, მუყაო, თუნუქი, მავთული, დიქტი, თიხა და ა. შ.)".

გ) 47 მუხლიდან პუნქტი „დ" ამოღებულ იქნეს მთლიანად.

2. დაევალოს განათლების სამინისტროს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებას (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე):

ა) უზრნველჰყოს საბავშვო სახლებში შრომითი აღზრდისა და სწავლების დაყენება ზემომოყვანილ ცვლილებათა შესაბამისად.

ბ) გაატაროს ღონისძიებანი აღსაზრდელთა ზოგადტექნიკური შრომითი მომზადების საკითხებში საბავშვო სახლების აღზრდელთა და შრომის სწავლების ინსტრუქტორთა დახელოვნების მიზნით.

3. დაევალოს განათლების სამინისტროს მატერიალური ფონდების გნყოფილებას (უფროსი ამხ. დ. მელიქაძე) უზრუნველჰყოს საბავშვო სახლების მომარაგება ცენტრალიზებული წესით შრომითი მომზადებისათვის საჭირო იარაღებითა და მასალებით საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებასთან ერთად შედგენილი ნომენკლატურის მიხედვით.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 29 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ვ. ტოგოლნიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2518

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 15 სექტემბერი

§ 1

შემოწმებით გამოირკვა, რომ კოჯრის № 6 საბავშვო სახლის სასწავლო-საალმზრდელო ნაწილის გამგემ მარიამ გრიგოლის ასულ ზაკუტოვამ ა/წ. 9 აგვისტოს ჩაიდინა პედაგოგისათვის შეუფერებელი საქციელი: საძინებელ ოთახში წესრიგის დარღვევის გამო ცემა აღსაზრდელ მიხეილ გვანდმახერს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

არაპედაგოგიური, დაუშვებელი საქციელისათვის, რაც გამოიხატა აღსაზრდელის ცემაში, კოჯრის № 6 საბავშვო სახლის სასწავლო-საალმზრდელო ნაწილის გამგე მ. ზაკუტოვა მოიხსნას სამუშაოდან.

§ 2

კოჯრის № 6 საბავშვო სახლის დირექტორს შოთა ირაკლისძე გალდავაძეს გამოეცხადოს საყვედური და გაფრთხილებულ იქნას, რომ საბავშვო სახლში მსგავსი შემთხვევის განმეორებისას მის მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი : საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 12 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. კუპრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3519

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 15 სექტემბერი

გავეცანი რა საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილების მიერ ახალციხის, კოჯრის № 1 და განთიადის საბავშვო სახლებში ჩატარებული დოკუმენტალური რევიზიის შედეგებს და ბორჯომის საბავშვო სახლის დირექტორ გ. ხუჯაძის შესახებ შემოსულ მამხილებელ წერილის გამოკვლევის მასალას, აღვნიშნავ, რომ წინა წელთან შედარებით ამ საბავშვო სახლებში მუშაობა გაუმჯობესებულია, დამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა კვება (კოჯრის № 1, განთიადის, ბორჯომის საბავშვო სახლები) და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. საბავშვო სახლები ძირითადად უზრუნველყოფილია მაგარი და რბილი ინვენტარით, სათანადო ბინით და სხვ. (განთიადის, კოჯრის № 1, ახალციხის საბ. სახლები).

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საბავშვო სახლების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, სახელდობრ:

1. ახალციხის საბავშვო სახლის მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა ქაოტიურ მდგომარეობაშია, საბუხჰალტრო საბუთები არ მუშავდება არსებული წესის მიხედვით და არ სდგება ბალანსი.

2. მთელი რიგი საბუთები სურსათ-სანოვაგისა და სხვა სამრეწველო საქონლის ჩაბარებაზე საწყობში და მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე არ ფორმდება სათანადოდ (ახალციხისა და განთიადის საბ. სახ.).

3. საწყობში ფასეულობათა აღრიცხვა მოუწესრიგებელია, საწყობის მუშაობაზე არ არის დაწესებული მტკიცე და სისტემატური კონტროლი, რის გამოც ადგილი აქვს დანაკლისებს და ზედმეტობას (ახალციხის და განთიადის საბ. სახლები).

4. ბიუჯეტის რიგ მუხლებში ადგილი აქვს დიდი რაოდენობით, როგორც გადახარჯვას, ისე თანხების აუთვისებლობას (ახალციხის, კოჯრის № 1 და განთიადის საბ. სახლები).

5. ადგილი აქვს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს (კოჯრის № 1 და განთიადის საბ. სახლები).

6. არ წარმოებს უხალხო ფონდით გაცემულ ხელფასიდან უშვილობისა და მარტოხელების გადასახადისა და ზოგჯერ საშემოსავლო გადასახადის დაკავება (კოჯრის № 1 საბ. სახლის ყოფ. ბუხ. გამბაროვასა და ბაგრატიონის მუშაობის პერიოდი).

7. აღსაზრდელთა კვების თანხების ათვისება თვეების მიხედვით არ არის ნორმალურად განაწილებული, ზოგიერთ თვეში ლიმიტით გათვალისწინებული თანხები მცირე რაოდენობით იხარჯება, ზოგ თვეში კი დიდ გადახარჯვებს აქვს ადგილი (კოჯრის № 1, განთიადის და ახალციხის საბ. სახლები).

8. რბილი და მაგარი ინვენტარის ჩამოწერა ხდება ადგილობრივი კომისიის აქტების მიხედვით, ზემდგომი ორგანოს წარმომადგენლის დასწრებისა და სანქციის გარეშე (განთიადის საბ. სახლი).

9. ადგილი აქვს კერძოდ და ნაღდ ანგარიშზე პროდუქტებისა და სხვა საქონლის შეძენას (კოჯრის № 1, ახალციხის და განთიადის საბავშვო სახლები).

10. ბორჯომის საბავშვო სახლის აღსაზრდელთა მახინჯაურში საგარაკოდ ყოფნის დროს ირიცხებოდა კერძო მოქალაქეთა 10 ბავშვი, რომელთათვის ულუფა ცალკე იწერებოდა (თანამშრომელთა ულუფასთან ერთად), მაგრამ ეს ბავშვები საბავშვო სახლის აღსაზრდელებთან ერთად იკვებებოდნენ და სარგებლობდნენ მათი საწოლებით, იმ დროს, როდესაც საბავშვო სახლის აღსაზრდელები ორ-ორად იწვნენ საწოლების უქონლობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ახალციხის საბავშო სახლის დირექტორს ისკუი პოღოსის ასულ კარაპეტიანს საბავშვო სახლის მუშაობის არასაკმაო ხემძღვანელობის გამო გამოეცხადოს საყვედური და მასვე დაევალოს:

ა) გაანთავისუფლოს სამუშაოდან საბავშვო სახლის მოანგარიშე ეკატერინე პავლეს ასული სრაბიანი, როგორც არაკვალიფიციური მუშაკი.

ბ) საბავშვო სახლის საწყობის გამგე ერონიკ მათეოსის ასული კარაპეტიანი მოხსნას სამუშაოდან, როგორც სუსტი და თანამდებობისათვის შეუფერებელი და მასვე გადაახდევინოს დანაკლისები.

2. განთავისუფლდეს თანამდებობიდან შრომის ინსტრუქტორი ბაბაიანი.

3. კოჯრის № 1 საბავშვო სახლის დირექტორს მართა მელიტონის ასულ ემუხვარს მიეთითოს საბავშვო სახლის სამეურნეო მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის და მასვე დაევალოს:

ა) უზრუნველჰყოს ბიუჯეტის თითოეული მუხლით გათვალისწინებული თანხების ხარჯვა პირდაპირი დანიშნულებით და არ დაუშვას გადახარჯვა ან აუთვისებლობა.

ბ) ერთი თვის ვადაში უზრუნველჰყოს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვა.

გ) აღკვეთოს კერძო ბაზარზე და ნაღდ ანგარიშზე საქონლის შეძენა.

დ) გადაახალისოს საბავშვო სახლის სამეურნეო კომისია და უზრუნველჰყოს მისი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

ვ) ყოფილ ბუხჰალტერ გამბაროვას და სამნეო ნაწილის ყოფილ გამგე ოსეფაშვილს გადაახდევინოს 2700 მანეთი თანაბრად, ხოლო ყოფილ ბუხჰალტერ ბაგრატიონს და იმავე სამნეო ნაწილის გამგე ოსეფაშვილს გადაახდევინოს 1500 მანეთი, რაც მათ უნდა დაეკავებინათ სხვადასხვა პირების მიერ მიღებული ხელფასიდან უშვილობისა და საშემოსავლო გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ი) მოაწესრიგოს საბავშვო სახლის არქივი, განსაკუთრებით საბუხჰალტერო-საარქივო დოკუმენტები.

ზ) უზრუნველყოს საბავშვო სახლის საწყობის წიგნის სწორად წარმოება.

თ) ა/წ. 30 სექტემბრამდე წესრიგში მოიყვანოს მასწავლებელთა და აღსაზრდელთა პირადი საქმეები.

4. დაევალოს განთიადის საბავშვო სახლის დირექტორს დავით ნორაკიძეს:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბიუჯეტის ათვისებას დამტკიცებული მუხლების მიხედვით და არ დაუშვას გადახარჯვა ან აუთვისებლობა.

ბ) უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყოს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების დაფარვა და შემდეგში არ დაუშვას ასეთი შემთხვევები.

გ) რბილი ინვენტარის დანაკლისი დააწეროს და გადაახდევინოს საწყობის გამგეს, ზედმეტად აღმოჩენილი საქონელი კი აიღოს შემოსავალში.

დ) აიკრძალოს რბილი და მაგარი ინვენტარის ჩამოწერა ადგილობრივი კომისიების აქტებით, ჩამოწერა აწარმოოს საქართველოს

განათლების სამინისტროს 1949 წ. ინსტრუქციის საფუძველზე წელიწადში ერთხელ და ზემდგომი ორგანოს წარმომადგენლის თანდასწრებით შემდგარი აქტების მიხედვით.

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მიღებული მასალების აღრიცხვას, საწყობის შემოსავალში აღებას სათანადო გაფორმებით და ამავე წესით გაცემას საჭიროებისა და ნორმების მიხედვით, გასავალში გაწერილი 2000 ც. კვერცხის ღირებულება დააწეროს საწყობის გამგეს.

5. ბორჯომის საბავშვო სახლის დირექტორს გ. ხუჯაძეს გამოეცხადოს საყვედური იმის გამო, რომ საბავშვო სახლის აღსაზრდელებთან ერთად თვითნებურად წაიყვანა მახინჯაურში კერძო მოქალაქეთა 10 ბავშვი.

6. საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილების უფროსს ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძეს ვავალებ ამ ბრძანების შესრულების უზრუნველყოფას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 12 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომის სახ. საქ. სახელმწ. საკავშირო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ხურჭულაძე
პ/მგ. გამოშვებისათვის დავ. გიორგაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/XI-1950 წ. უე17931. ანაწყობის ზომა 6×10.
შეკვეთის № 2314. ტირაჟი 3.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.